*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ნინო ბალანჩივაძე

**წევრები:**

ნატო ალავიძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

*დანართი №2*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

**დაწესებულების სახელწოდება:** შპს საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA

**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 406037550

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

*დანართი №2*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2018 წელს აკადემიამ წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია საზოგადოებრი კოლეჯის სტატუსით და 6 წლის ვადით მოიპოვა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველად კერძო პროფესიულ სასწავლებლებს შორის აკადემიამ 2018 წელს შესთავაზა დაინტერესებულ პირებს დუალური პროგრამა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

აკადემია დაარსებიდან დღემდე ისწრაფვის განვითარებისა და პროფესიული წინსვლისათვის, სტუდენტებსა და მასწავლებლებს სთავაზობს არა მარტო მომხიბვლელ აკადემიურ გარემოს, არამედ სასწავლო პროცესის პარალელურად – კულტურულ, გასართობ და ინტელექტუალურ ღონისძიებებს.

საქართველოს ბიზნესის აკადემიამ 2019 წლის 17 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განავითარების ეროვნულ ცენტრში „საექთნო საქმისა“ და „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით წარადგინა განცხადება. ორივე პროგრამაზე აკადემიას სურს პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობად განისაზღვროს 250 ადგილი, მათ შორის 150 - საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო 100 - ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 მაისის N411 ბრძანების საფუძველზე **2019 წლის 6 და 7 ივნისს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში -SBA განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ფარმაციისა და „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან ( 1. საგანმანათლებლო პროგრამები; 2. მატერიალური რესურსი; 3. ადამინური რესურსი) შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად, კერძოდ, ვიზიტის პირველი დღე დაეთმო გასაუბრებას დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებთან. ამასთანავე, დავათვალიერეთ აკადემიის სასწავლო ბაზა. ვიზიტის მეორე დღეს კი შევისწავლეთ ადგილზე არსებული დოკუმენტაცია (თანამშრომლებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები, სხვადასხვა სამართლებლივი დოკუმენტები და ა.შ.). უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის ადმინისტრაციამ, პროგრამის ხელმძღვანელებმა და დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურმა ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე დაახვედრა სტანდარტების გათვალისწინებით ყველა არსებული დოკუმენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

ვიზიტის დასრულებისას კი, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამების შემდეგ დაწესებულების ადმინისტრაციას მიეწოდა ინფორმაცია შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების შესახებ.

ინტერვიუერებისას ექსპერტთა ჯგუფმა და ბიზნესის კადემიის ადმინისტრაციამ ისაუბრეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2018 წელს კოლეჯში განხორციელებული ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესახებ: ახალ დანერგილ პროგრამებზე სტუდენტების მოზიდვის მიზნით აკადემიას უფრო ეფექტურად უნდა გამოეყენებინა საკომუნიკაციო არხები, კერძოდ, კონკრეტული პროგრამების მოკლე აღწერა განთავსებულიყო შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციების ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში. ამასთანავე, პროგრამის ეფექტიანობისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალა - პროგრამის ხელმძღვანელებსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს შორის ორმხრივი ჩართულობა ყოფილიყო.

**აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აკადემიამ განაცხადა, რომ ჩაატარა სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება, კერძოდ,** აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური ადგენს ყოველწლიურ მარკეტინგულ გეგმას, წლის ბოლოს კი ახორციელებს კვლევას მარკეტინგული აქტივობით მიღებული შედეგების თაობაზე. აღნიშნული კვლევის შედეგად აკადემიამ უარი თქვა ისეთ მარკეტინგულ აქტივობებზე, როგორებიცაა: სატელევიზიო რეკლამა, ფლაერების დარიგება და სხვა.

მარკეტინგული აქტივობების გაძლიერების მიმართულებით, მიმდინარე პერიოდში აკადემიის მიერ დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება მარკეტინგულ კომპანიასთან, შეირჩა 3 პირი, რომლებიც აკადემიის საზოგადოებასთნ ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის სპეციალისთან ერთად ახორციელებს ინტერნეტრეკლამას. აკადემიის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას მიეთითება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიოროორგანიზაცია, რაც ხელს უწყობს სწავლის მსურველთათვის სრულყოფილი და საინტერესო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე პარტნიორ ორგანიზაციას აძლევს სტიმულს პროგრამის განხორციელებაში სრულფასოვან ჩართვასთან დაკავშირებით.

ამასთან, პარტნიორი ორგანიზაციები თავად ახდენენ აკადემიის პროგრამებისა და სტუდენტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ: შემოსავლების სამსახურმა მიმდინარე წლის მაისის თვეში გადაიღო საიმიჯო კლიპი, რომელში ჩართო აკადემიის საბაჟო საქმის პროფესიული სტუდენტები. მათ ერთი დღე გაატარეს მებაჟის როლში საბაჟო გამშვენპუნქტზე. შპს „ფინანსური ოფისი“, რომელიც ჩართულია ბუღალტრული აღრიცხვის დუალური პროგრამის განხორციელების პროცესის პოპულარიზაციის მიზნით დაამზადა სარეკლამო ბანერი და ავრცელებს საკუთარ ვებგვერდსა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

სოციალურ ქსელში და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

*ივსება მხოლოდ ავტორიზაციის ვიზიტისას, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.*

| მდგომარეობა (ახალი/ არსებული) | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | შენობა-ნაგებობების ფართი | მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

*ასევე, ეს მონაცემები შეადარეთ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ შევსებულ იმავე ცხრილს და თუკი არ ემთხვევა მას, დაწერეთ ქვემოთ კომენტარი:*

.................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ბი | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

| ადამიანური რესურსი | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*

**ბიბლიოთეკის მუშაობის გააქტიურება:** ბიბლიოთეკის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლის მუშაობის გააქტიურების, საბიბლიოთეკო სერვისებით მომხმარებელთა (სტუდენტების, მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების) კმაყოფილების კვლევისა და მათი გაუმჯობესების მიმართულებით, ბიბლიოთეკაში სპეციალურად განსაზღვრულ ჟურნალში აღირიცხება თითოეული მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სერვისი, რაც ადგენს გაწეული მომსახურებას ან მათი სურვილს, რომელიც მიმდინარე პერიოდში არ იყო ხელმისაწვდომი აკადემიის სივრცეში. აღნიშნული კვლევის მიზანია საბიბლიოთეკო სერვისების გაძლიერება, ბიბლიოთეკის მუშაობის გააქტიურება და მომხმარებელთა ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა. ამასთან, კვლევა იძლევა როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მაჩვენებლებს. კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსების ბრუნვის მაჩვენებლები (ყველაზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო რესურსის გამოვლენისას აკადემია უზრუნველყოფს მათი რაოდენობის გაზრდას, ელექტრონული ფორმით დამზადებას და სხვა); შინაარსობრივი/თვისობრივი მიმართულებით, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით. კერძოდ, თუ გამოიკვეთა, რომ აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული მიმართულებით არც ერთი ან ძალიან მცირე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსი იქნა მოთხოვნილი, ხარისხის მართვის სამსახური დაინტერესდება და დასვამს კითხვას მასწავლებლებთან, თუ როგორ მიაღწია კონკრეტულ შედეგს და როგორ წარიმართა სასწავლო პროცესი. კვლევის შედეგად გამოვლენილი ახალი სერვისების დანერგვას აკადემიის მენეჯმენტი უზრუნველყოფს უმოკლეს ვადებში.

**პროფესიული მასწავლებლის შერჩევა/მიღება და მისი კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.** მაგ.: არანაკლებ საინტერესოა ფარმაცევტის პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცესი და მისი ჩართვა საგანმანათლებლ სივრცეში. თავდაპირველად აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, კერძოდ,:

1,უმაღლესი განათლება ფარმაციის მიმართულებით;

2. ფარმაცევტული კომპეტენცია, რომელიც ფასდება ყოველწლიური საატესტაციო გამოცდით და აღნიშნული ტესტების შეეგები 70-100 ქულის ფარგლებში ვარირებს. პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე შესარჩევად განისაზღვრება 85-10 ქულა, რაც ითვლება მაღალ შეფასებად;

3. „პსპ ფარმაში" ფარმაცევტის პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება;

4. ინტელექტის საზომი ტესტის შედეგები.

აპლიკანტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, მიწვეული იქნებიან ტესტირების ეტაპი, როდესაც მისაღები ზღვარი იყო საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი შეფასება,

შემდეგი ეტაპი გასაუბრებაა რეკრუტინგისა და შერჩევის განყოფილების უფროსსა და კომპანიის პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის განხორციელების კოორდინატორთან.

ინტერვიუ არის სტრუქტურირებული, თითოეული აპლიკანტი ფასდება 10 ქულიანი სისტემით,გასაუბრებაზე ეძლეევათ ფარმაცევტული ქეისი,როფესაც ფასდება მათი ფარმაცევტული კომპეტენცია, ასევე, მეტყველება არის გასაგებად არგუმენტირებულად გადმოცემის უნარი და მათი მოტივაია, აღნიშნულ ვაკანსიასთან დაკავშირებით. შერჩეული კანდიდატების გასაუბრების შედეგები 8-10- ქულის ფარგლებში ვარირებს,.

ამასთანავე, აპლიკანტს სჭირდება რეკომენდაცია ტრენინგ-ცენტრის თანამშრომლისაგან, რომელთანაც წლების განმავლობშიც ესწრებოდა ტრენინგებს. თუ მიმდინარე სტატისტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

მონაცემებს შევისწავლით, ვნახავთ, რომ პროფესიული მასწავლებლის ვაკანსიასთან დაკავშირებით 207 გამოგზავნილი აპლიკანტიდან საკვალიფიკაციო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა 23 აპლიკანტი, ზოგადი ინტელექტის ტესტი ვერ გაიარა წარმატებით 33-მა აპლიკანტმა,გასაუბრების შედეგად შეირჩა 50 საუკეთესო ქულების მქონე აპიკანტი და 17 სარეზერვო კანდიდატი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პერიოდულად, მონიტორინგის საფუძველზე ტარდება მიზნობრივი ტრენინგები, რაც პერსონალის პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის მიმდინარეობისას ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

## VII. დაწესებულების მისია

**მისია**

**SB**A განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს სამეწარმეო, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებაზე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობას.

**ხედვა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ დარგობრივი, არამედ მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებაზე, როგორც საკვალიფიკაციო პროგრამების, ისე კურიკულუმის მიღმა აქტივობების განხორციელების გზით, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას, პიროვნულ განვითარებას და მის საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბებას.

**ღირებულებები**

ფართო სპექტრის, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული და მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შეთავაზების, სასიამოვნო და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს და სერვისების უზრუნველყოფის, სწავლების დაგეგმვასა და განხორციელებაში აკადემიის საზოგადოების ჩართულობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სწავლის შედეგების მიღწევის ალტერნატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციის გზით, აკადემია ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიონალურ და პიროვნულ ტრანსფორმაციას, იმის გააზრებას თუ როგორ შეუძლიათ ეროვნულ და ევროპულ ღირებულებებზე დაყრდნობით, კრეატიულად მიუდგნენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და ამ გზით სარგებელი მოუტანონ ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებას.

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 **დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა რეგულირდება აკადემიის დირექტორის 2011 წლის 27 ივნისის №027 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესით," რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე ინიცირება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც პროგრამის ინიცირებასა და მიზანშეწონილობის დასაბუთებას წარუდგენს დირექტორს და განიხილება აკადემიის სენატის სხდომაზე. სენატის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი იხილავს აკადემიის რესურსს და შესაძლებელობას პროგრამის განხორციელების თაობაზე და დასკვნას წარუდგენს დირექტორს. სენატის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს და პროგრამის პაკეტს დასკვნისათვის წარუდგენს აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურს. ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის დადებითი დასკვნის საფუძველზე, პროგრამის პროექტი განსახილველად წარედგინება აკადემიის სენატს. სენატის წარდგინებითა და აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, პროგრამების დამტკიცების შესახებ დირექტორის გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს. დირექტორის უფლებამოსილება საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების თაობაზე რეგულირდება ასევე აკადემიის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 23-ე ქვეპუნქტის შესაბამისად.

აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი და პროცედურები დარეგულირებეულია აკადემიის პროფესიულ სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დასტუსაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესით;\
- საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტები/სენატის ოქმებით №06 (07.11.2018), №01 (24.01.2019);
- დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის №156 ბრძანება, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის დასკვნებით;
- სენატის საოქმო გადაწყვეტილებით №02 (08.05.2019);
- დირექტორის ბრძანებებით: 2019 წლის 17 მაისის №039 ბრძანებით - საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ; დირექტორის 2019 წლის 21 მაისის №040 ბრძანებით - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამებით; აკადემიის დებულებით;
- პროფესიულ სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესით;
- ინტერვიურებით.

**შეფასება:**

[x] **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
აკადემიას შემუშავებული აქვს კატალოგი 2019, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია აკადემიის, მისი მიღწევების, ძირითადი აქტივობების, პარტნიორების, მენეჯმენტი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტური სერვისების, საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის ანონსის სახით მოცემულია ინფორმაცია ფარმაციისა და საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ), მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგი ილუსტრირებულია შესაბამისი ფოტო კოლაჟით. მასში ასახულია აკადემიის მდებარეობისა და საკონტაქტო ინფორმაცია.

კატალოგი არსებობს, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით და განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე. ვებგვერდზე ასევე განთავსებულია კატალოგების არქივი (2019, 2018, 2017, 2019)

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს ბიზნესის აკადემიის საგანმანათებლო პროგრამების კატალოგით ;
- ვებგვერდით www.sba.edu.ge
- ვიზუალური დათვალიერებით.
- ინტერვიურებით.

**შეფასება:**

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ფარმაციისა და საექთნო საქმის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ორივე პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის №407/ი ბრძანებით და დამტკიცებული (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 16 აპრილს ბრძ. №274/ი) როგორც საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტის, ისე „ფარმაცია (სააფთიაქო)" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ჩარჩო დოკუმენტით- ფარმაცია (სააფთიაქო) ;
- ჩარჩო დოკუმენტით - საექთნო განათლება;
- ორივე საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის №407/ი ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 16 აპრილის ბრძ. №274/ი) როგორც საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტის, ისე „ფარმაცია (სააფთიაქო)" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე
- შპს საქართველოს ბიზნეს აკაემია-SBA-ის დირექტორის ბრძანებით 2019 წლის 17 მაისის
    - N 039 ბრძანებით.

**შეფასება:**

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები და სხვა რეგულირდება ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2019 წლის 24 მაისის №044 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“. აკადემიას ჰყავს როგორც აქტიური, ისე შეჩერებული და შეწყვეტილი სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები. აკადემიაში მობილობა არ განხორციელებულა. აკადემიაში სწავლობენ არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, რომელთა ჩარიცხვის პროცედურა დაცულია აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტის შესაბამისად, პირად საქმეში მოთავსებულია პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აკადემიას ჰყავს ინგლისურენოვან საბაჟო საქმის პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები, რომელთაც ჩარიცხვის მიზნით სხვა მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი აქვთ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები დამუშავებულია აკადემიის საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- **სასწავლო პროცესის მართვის წესი** დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 24 მაისის N044 ბრძანებით.
- ინტერვიურებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები და სხვა რეგულირდება აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით. აკადემიას ჰყავს როგორც აქტიური, ისე შეჩერებული და შეწყვეტილი სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები. აკადემიაში მობილობა არ განხორციელებულა.

აკადემიაში სწავლობენ არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, რომელთა ჩარიცხვის პროცედურა დაცულია აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტის შესაბამისად, პირად საქმეში მოთავსებულია პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აკადემიას ჰყავს ინგლისურენოვან საბაჟო საქმის პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები, რომელთაც ჩარიცხვის მიზნით სხვა მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი აქვთ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები დამუშავებულია აკადემიის საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებითა ა სათანადო დოკუმენტაციის დათვალიეებით დადგინდა, თუ რა კონკრეტული პროცედურა ხორციელდება დაწესებულებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

საგანმანათლებლო პრორამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ხელშეკრილებები მობილობის პროცესის სრულყოფისათვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- 2017 „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესით“;
- შეცვლილი პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა გადაყვანისა და კრედიტების აღირების დოკუმენტებით.
- ინტერვიურებით.
- საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, 2017 წელი
- შპს იმედისთან გაფორმებული ხელშეკრულებით, 2018 წწელი
- შპს ინტერბიზნესის აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, 2012 წპლი
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმით, 2018 წელი.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

აკადემიას შემუშავებული აქვს რექტორის 2014 წლის 14 ნოემბრის N178 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის მართვის სამსახურის დებულება,“ რომელიც ითვალისწინებს საქმიანობის, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემასა და პროცედურებს. ინსტრუქციის შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ გეგმის მიხედვით ხორციელდება მონიტორინგი აკადემიაში მიმდინარე 14 პროცესზე: სტრატეგიული დაგეგმვა; სტრატეგიული და ერთწლიანი განვითარების გეგმები; დოკუმენტაციის აღრიცხვის სანდოობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); შიდა მარეგულირებელი აქტები; მატერიალური რესურსის მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; ხარისხის მართვა; საბიბლიოთეკო სერვისები; საზოგადოებასთან ურთიერთობები; უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა; სტუდენტური სერვისები; სასწავლო პროცესის ორგანიზება; სტუდენტთა კორპუსის მართვა; საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. ხარისხის ციკლის ბოლო ეტაპს წარმოადგენს ფორმის - „თვითშეფასება და ხარისხის გაუმჯობესება“ შევსება, რომლის საფუძველზე მომზადებული დასკვნები და რეკომენდაციები დაედაბა საფუძვლად პროცესების ხელახალ დაგეგმვასა და განხორციელებას.

მონიტორინგის პროცესი ასევე მოიცავს მხარეების გამოკითხვას, ურთიერთშეფასებებს და მიღებული შედეგების ანალიზს. ანალიზის შედეგების მიხედვით ხორციელდება პროცესებისა და პროცედურების შენარჩუნების და/ან გაუმჯობესების გეგმების შემუშავება, რომელიც განიხილება, როგორც მენეჯმენტის, ისე კოლეგიალური ორგანოს - სენატის სხდომაზე.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხორციელდება სასწავლო კურსის/პროგრამის განხორციელების მონიტორინიგი (მეცადინეობაზე დასწრება) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების სასწავლო–მეთოდოლოგიური მუშაობის შეფასება. შეფასების/დასწრების შედეგები და რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების მუშაობის შესახებ აისახება დასწრების აქტებში.

სისტემატურად ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების შეფასება/ანალიზი მათ შესაბამისობაზე სასწავლო კურსისა და მოდულების შედეგებთან/კრიტერიუმებთან. შეფასების ინსტრუმენტის საბოლოო ვერსიის ხარისხის მართვის სამსახურთან შეთანხმებამდე, ინსტრუმენტის შემოწმების პროცედურა წარმოებს ელექტრონულ ფორმატში. საჭიროების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტების განხილვა, ხდება ასევე შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომებზეც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

მოდულების ერთობლივად განხილვა-დაგეგმვა ხდება ხარისხის მართვის სამსახურისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომებზე, რის შემდეგ ხორციელდება ჩარჩო დოკუმენტის მოდულების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების, დაგეგმილი აქტივობების, სწავლების მეთოდებისა და ა.შ. ანალიზი. ანალიზის და შეფასების შედეგები, რეკომენდაციების სახით გაეცნობა პერსონალს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შედის საგანმანათლებლო პროგრამებში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის 2014 წლის 14 ნოემბრის N178 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის მართვის სამსახურის დებულებით;
- ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხის მენეჯმენტის უზრუნველყოფისა და შიდა მონიტორინგის ინსტრუქციით;
- ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხის უზრუნველყოფის 2018-2024 წლების სტრატეგიით;
- ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხისმართვის სამსახურის 2019 წლის სამოქმედო გეგმით;
- ბიზნესის აკადემია-SBA-ის საქმინობისა და გამოკითხვის შესახებ ანგარიშებით, განხოციელებული გამოკითხვის მასალებით, სტატისტიკური მაჩვენებლებით;
- ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და საგამანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მტკიცებულებებით;

**შეფასება**:

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA საკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილ №18-22-ში არსებულ 1990.54 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი [redacted].

შენობის პირველი სართულის საერთო ფართი არის 1005.67 კვ.მ. მათ შორის, სასწავლო ფართი არის 514.1 კვ.მ. ხოლო დამხმარე - 491.57 კვ.მ.

შენობის მეორე სართულის საერთო ფართი არის 849.24 კვ.მ. მათ შორის, სასწავლო ფართი არის 522.42 კვ.მ. ხოლო დამხმარე - 326.82 კვ.მ.

შენობის მესამე სართულის საერთო ფართი არის 135.63 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| | ქ. თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, №18-22 | 1990.54 კვ.მ. |

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

- საჯარო რეესტრის ამონაწერით;
- შიდა აზომვითი ნახაზით;
- ვიზუალური დათვალიერები

შეფასება:

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**საექთნო საქმის** საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელებისათვის აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მოთხოვნებთან. აკადემიის A სასწავლო გარემოს მიზნებისაბითათვის გამოიყენება 3 აუდიტორია (№121 - ადგილების რ-ბა - 42; №202 - ადგილების რ-ბა - 34, №201- ადგილების რ-ბა - 160). სადაც შესაძლებელია 150 პროფესიული სტუდენტის სწავლება. B სასწავლო გარემო საჭიროა ზოგადი მოდულის - „საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში" განსახორციელებლად, რომელიც დაგეგმილია სწავლების მეორე ციკლში/სემესტრში, აკადემიას მოწყობილი აქვს 3 კომპიუტერული ლაბორატორია (ადგილების რ-ბა ერთ ცვლში - 45); პრაქტიკული კომპონენტის ორი მოდული - ავადმყოფის მოვლა და შინმოვლა განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე - ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი", ხოლო კლინიკური სწავლების მოდულები განხორციელდება 9 სამედიცინო დაწესებულებში/კლინიკაში, პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით, რისთვისაც აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და დაცული პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**შპს „პსპ ფარმას"** წარმომადგენელთან, დარგის სპეციალისტების ჩართულობით ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიის ბაზაზე შექმნილია 2 სახის ლაბორატორიის - ფარმაციისა და ქიმიურ/ბიოლოგიურ/ტექნოლოგიური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. აკადემიას სრულად გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა. ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა: A სასწავლო გარემო (№121 - ადგილების რ-ბა - 42); B სასწავლო გარემო ერთი მოდულის სწავლებისთვის (ინფორმაციული წიგნიერება 2), აკადემიას მოწყობილი აქვს 3 კომპიუტერული ლაბორატორია (ადგილების რ-ბა ერთ ცვლში - 45); C1 სასწავლო გარემო - ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია, რომელიც მოწყობილია AC-ს სახით, ადგილების რ-ბა - 25; C2 - ფარმაცევტული ლაბორატორია,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

ადგილების რ-ბა - 25; სასწავლო გეგმაში ცვლილებების გარეშე, მეცადინეობის განრიგის მიხედვით, შესაძლებელია ერთდროულად, ერთ ცვლაში 50 პროფესიული სტუდენტის სწავლება კომბინაციით - A/B/C1/C2. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიას სურს მიიღოს 100 პროფესიული

**საბოლოო სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე პროგრამისათვის გასაზღვრულია:**

| გარემო | ფარმაცია (მერხებისა და სკამების რაოდენობა) | ექთანი | კომპიუტერები(რაოდენობა) |
|---|---|---|---|
| A | **აუდიტორია №121**<br>- სტუდენტის მაგიდა - 42<br>- სტუდენტის სკამი - 42<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი | **აუდიტორია №121**<br>- სტუდენტის მაგიდა - 42<br>- სტუდენტის სკამი - 42<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br><br>**აუდიტორია №202**<br>- სტუდენტის მაგიდა - 34<br>- სტუდენტის სკამი - 34<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br><br>**აუდიტორია №201**<br>- სტუდენტის მაგიდა - 160<br>- სტუდენტის სკამი - 160<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| **B** | **აუდიტორია №105**<br>- სტუდენტის მაგიდა - 15<br>- სტუდენტის სკამი - 15<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br>- კომბაინი - 1 ცალი<br>**აუდიტორია №112**<br>- სტუდენტის მაგიდა - 15<br>- სტუდენტის სკამი - 15<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br>- კომბაინი - 1 ცალი<br><br>**აუდიტორია №205**<br>- სტუდენტის მაგიდა - 15<br>- სტუდენტის სკამი - 15<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br>- კომბაინი - 1 ცალი | **აუდიტორია №105**<br>- სტუდენტის მაგიდა - 15<br>- სტუდენტის სკამი - 15<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br>- კომბაინი - 1 ცალი<br>**აუდიტორია №112**<br>- სტუდენტის მაგიდა - 15<br>- სტუდენტის სკამი - 15<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br>- კომბაინი - 1 ცალი<br><br>**აუდიტორია №205**<br>- სტუდენტის მაგიდა - 15<br>- სტუდენტის სკამი - 15<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br>- კომბაინი - 1 ცალი | **45** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

| | | | |
|---|---|---|---|
| C | **C1 – ქიმიურ/ბიოლოგიურ/ ტექნოლოგიური ლაბორატორია**<br>- სტუდენტის მაგიდა - 25<br>- სტუდენტის სკამი - 25<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი<br>- ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა<br><br>**C2 – ქიმიურ/ბიოლოგიურ/ ტექნოლოგიური ლაბორატორია**<br>- სტუდენტის მაგიდა - 25<br>- სტუდენტის სკამი - 25<br>- მასწავლებლის მაგიდა -1<br>- მასწავლებლის სკამი - 1<br>- პროექტორი - 1 ცალი<br>- აუდიო მოწყობილობა - 1 კომპლექტი | პრაქტიკის ობიექტი | |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ლაბორატორიების აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით
- დაესებულების დირექტორის ბრძანებით - „კომპიუტერული ტექნიკის განაწილების შესახებ“;
- სასწავლო ფართის გამტარუნარიანობით ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის;
- მეცადინეობების განრიგის პროექტებით ფარმაციისა და საექთნო საქმის პროგრამებისათვის,

**შეფასება:**

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

აკადემიაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. აკადემიას 2017 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული აქვს №887 ხელშეკრულება სს „თელასთან“, არის თელასის აბონენტი [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს.

აკადემია მიერთებულია წყალმომარაგების ქსელზე და უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით. აკადემია არის GWP-ს აბონენტი [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში არის 4 სველი წერტილი, რომელიც განთავსებულია შენობის ყველა სართულზე. სველი წერტილები გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. აკადემიაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამასთანავე, შენობის ყველა სართულის დერეფანში დგას სასმელი წყლის „სნოს“ 19 ლიტრიანი ჭურჭელი. სასმელი წყლით უწყვეტ მომარაგებას უზრუნველყოფს შპს „აქვა-გეო“, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

აკადემიას 2019 წლის 4 თებერვალს განახლებული აქვს ხელშეკრულება (№01) შპს „ყანსტრანსგაზ-თბილისთან“ გაზის ბუნებრივი გაზის ნასყიდობის შესახებ, რის საფუძველზეც, დაწესებულება მიერთებულია ქსელზე და უზრუნველყოფილია მუდმივი გაზმომარაგებით. აკადემია არის შპს „ ყანსტრანსგაზ-თბილისი“-ის აბონენტი [redacted] [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. აკადემიაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

აკადემია 2019 წლის 1 მაისის №30 (განახლებული) ხელშეკრულების საფუძველზე არის სს „გლობალ ერთის“ აბონენტი და უზრუნველყოფილის ინტერნეტის უწყვეტი წვდომით. კომპანიის მიერ გამოგვზანილი ინვოისის საფუძველზე იხდის ყოველთვიურ გადასახადს. აკადემიაში ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi), რომელიც ღიაა მომხმარებლებისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;
- სს „თელასთან გაფორმებული ხელშეკრულებით“;
- შპს „ყანსტრანსგაზ-თბილისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით;
- შპს „აქვა-გეოსტან“ გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ცენტრალური გათბობის მონტაჟისა და მოწყობილობების ფლობის დოკუმენტებით
- სს „გლობალ ერთის“ ხელშეკრულებით
- ვიზუალური დათვალიერებით

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ბეჭდურ ან/და ელექტრონულ მატარებლებზე. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის გამგე აწარმოებს წიგნადი ფონდის აღრიცხვის ჟურნალებსა და კატალოგებს. აკადემიის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები დარეგისტრირებულნი არიან ბიბლიოთეკის მკითხველებად. ბიბლიოთეკის გამგე აწარმოებს საგანმანათლებლო რესურსის გაცემის/მიღების აღრიცხვას აკადემიის მიერ დადგენილი წესით. ბიბლიოთეკის გამგე აწარმოებს საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალს, რომლის მიზანია, მომხმარებელთა კვლევა და აკადემიაში არსებული სერვისების სპექტრის გაფართოება.

ბიბლიოთეკის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლის მუშაობის გააქტიურების, საბიბლიოთეკო სერვისებით მომხმარებელთა (სტუდენტების, მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების) კმაყოფილების კვლევისა და მათი გაუმჯობესების მიმართულებით, ბიბლიოთეკაში სპეციალურად განსაზღვრულ ჟურნალში აღირიცხება თითოეული მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სერვისი, რაც ადგენს გაწეული მომსახურებას ან მათი სურვილს, რომელიც მიმდინარე პერიოდში არ იყო ხელმისაწვდომი აკადემიის სივრცეში. აღნიშნული კვლევის მიზანია საბიბლიოთეკო სერვისების გაძლიერება, ბიბლიოთეკის მუშაობის გააქტიურება და მომხმარებელთა ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა. ამასთან, კვლევა იძლევა როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მაჩვენებლებს. კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსების ბრუნვის მაჩვენებლები (ყველაზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო რესურსის გამოვლენისას აკადემია უზრუნველყოფს მათი რაოდენობის გაზრდას, ელექტრონული ფორმით დამზადებას და სხვა); შინაარსობრივი/თვისობრივი მიმართულებით, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით. კერძოდ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

თუ გამოიკვეთა, რომ აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული მიმართულებით არც ერთი ან ძალიან მცირე რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსი იქნა მოთხოვნილი, ხარისხის მართვის სამსახური დაინტერესდება და დასვამს კითხვას მასწავლებლებთან, თუ როგორ მიაღწია კონკრეტულ შედეგს და როგორ წარიმართა სასწავლო პროცესი. კვლევის შედეგად გამოვლენილი ახალი სერვისების დანერგვას აკადემიის მენეჯმენტი უზრუნველყოფს უმოკლეს ვადებში.

აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდი დღევანდელი მდგომარეობით შეადგენს **3358** წიგნად ერთეულს, მათ შორის:

| ლიტერატურა | რაოდენობა |
|---|---|
| ქართულენოვანი ლიტერატურა | 2015 |
| ინგლისურენოვანი ლიტერატურა | 560 |
| რუსულენოვანი ლიტერატურა | 155 |
| ელექტრონული ლიტერატურა | 628 |
| ჯამი | 3358 |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ბიზნესის აკადემია-SBA-ის საბიბლიოთეკო ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიზნესის აკადემია-SBA-ის „საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით";
- ბიზნესის აკადემია-SBA-ის საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნების ჩანაწერებით;
- ბიზნესის აკადამია–SBA–ის საბიბლიოთეკო კატალოგებით;
- დიზუალური დათვლიერებით;
- ინტერვიურებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების მფლობელობაში არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ისე მართვისას.
დაწესებულების პერსონალი უზრუნველყოფილია მათი სამუშაო მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკითა და რესურსით. პერსონალისთვის მოწყობილია ინდივიდუალური სამუშაო კაბინეტები, აკადემიური პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების ცალკე სივრცე - მუშაობისა და დასვენებისთვის, რომლებიც აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარითა და ავეჯით.
დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. აუდიტორიები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითა და შესაბამისი ინვენტარით.
დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისთვის მოწყობილი აქვს 3 კომპიუტერული ლაბორატორია და უცხო ენების კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილობით:

- კომპიუტერი – 71 ერთეული (მათ შორის 11 ერთეული გამოიყენება ადმინისტრაციული საქმიანობისთვის)
- პროექტორი – 12 ერთეული
- პრინტერი/კომბაინი – 13 ერთეული
- მონიტორი – 2 ერთეული
- ასლგადამღები (ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში) – 1 ერთეული

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დირექტორის ბრძანებით - „კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების შესახებ“;
- კომპანია „გლობალ ერთთან“ გაფორმებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

- ინტერნეტმომსახურების საფასურის გადახდის ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება **ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციის** (დამტკიცებულია 2016 წლის 26 დეკემბრის N162 ბრძანებით). მოთხოვნების შესაბამისად. აკადემიაში მიმდდინარეობს კორესპონდენციისა და გამოცემული აქტების აღრიცხვა. აკადემიაში ფუნქციონირებს შემოსული და გასული კორესპონდენციის, გამოცემული აქტებისა და შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც დამუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის №414 ბრძანებულების „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ"(01.07.1999) მოთხოვნების შესაბამისად. გამოყოფილია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. აკადემიაში საქმისწარმოების სისტემატიზაციის მიზნით, შემუშავებულია „საქმეთა ნომენკლატურა," აკადემიაში შემნილი საქმეები აღრიცხულია ნომენკლატურის მიხედვით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ბიზნესის აკადემიის საქმისწარმოების ერთიანი წესებით;
- იზნესის აკადემიის საქმეთა ნომენკლატურით;
- შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შიდა დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალებით
- **ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით**-დამტკიცებული 2016 წლის 26 დეკემბრის N162 ბრძანებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**
**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;**
**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;**
**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**
**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.**

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) აკადემიაში საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ოპერატიულად და ხარისხიანად უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. დაწესებულებაში შექმნილია საგანგებო შტაბი. გაწერილია საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესები და ფუნქცია-მოვალეობები, რეაგირების ჯგუფის შემადგენლობა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით, განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; დადგენილი წესით, ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ვარგისიანობის ვადის გადამოწმება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
დაცვის ინსპექტორები ახორციელბენ პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟსა და სწავლებას. ასევე, სისტემატურად ატარებენ ევაკუაციის იმიტირებულ პროცედურას, რომელიც

ხორციელდება ზემოაღნიშნული ინსტრუქტაჟის შესაბამისად. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სამაშველო სამსახურის ნომრები,ასევე, გამოკრულია ნიშნებიც. აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გუნდი.

ბ) თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმები გამოკრულია გეგმით მითითებულ ადგილებში აკადემიის მთელ შენობაში, საევაკუაციო გასასვლელებთან და დერეფნების კედლებზე. შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გასასვლელების მიმმართველები. გეგმებზე დატანილია ტელეფონის ნომრები: სახანძრო-სამაშველო დანაყოფისა და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გამოძახებისათვის.

გ) აკადემიაში ფუნქციონირებს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური. სამსახურს ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ლიცენზირებული ზოგადი პროფილის ექიმი. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების ინვენტარით და მედიკამენტებით. აკადემიის პერსონალს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების პრაქტიკული კურსი, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში განტავსებული სერტიფიკატებით.

დაწესებულების ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალის მიერ სისტემატურად ხორციელდება აუცილებელი პირველადი დახმარების მედიკამენტებისა და საშუალებების შეძენა-განახლება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის და დასუფთავების წესი“, რომლის თანახმად ხორციელდება მონიტორინგი, სასწავლო და დამხმარე სათავსოების, სანიტარული კვანძების, კვების ბლოკის, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება-დეზინფექციაზე. სამედიცინო პერსონალის მიერ ხორციელდება ასევე სასწავლო–სააუდიტორიო სივრცის სისუფთავეზე კონტროლი.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიას ჰყავს დაცვის 3 ინსპექტორი. აკადემიას შემუშავებული აქვს დაცვის ინსპექტორთა მორიგეობის განრიგი, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია აკადემიის 24 საათიანი რეჟიმით დაცვა. ინსპექტორთა უფლება–მოვალეობები გაწერილია აკადემიის დებულებით, შემუშავებულია დაცვის ინსპექტორთა სამუშაო აღწერილობები.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები დარეგულირებულია აკადემიის „ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურებით“, ხოლო დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესები, ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები აღწერილია აკადემიის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია აკადემიის ვებ–გვერდზე.

აკადემიის გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო–კონტროლის სისტემით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ბიზნესის აკადემიაის შინაგანაწესით;
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის „ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“;
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და აკადემიის საევაკუაციო გეგმებით;
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის „სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის და დასუფთავების წესით;
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენის და გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტებით
- სამედიცინო ინვენტარის, საშუალებების შეძენისა და გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ევაკუაციის იმიტირებული პროცედურების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- დაცვის სამსახურის მორიგეობის გრაფიკები და ინსპექტირების აქტებით;
- სამედიცინო სამსახურის მიერ სისუფთავის კონტროლის მიზნით, განხორციელებული მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ნარჩენების მართვისა და დიზენფექციის ჩატარების დოკუმენტებით
- სამედიცინო პერსონალის  პირადი საქმით;
- დაცვის ინსპექტორების პირადი საქმით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.**
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებულ გარემოს. დაწესებულების მთელ შენობაში დამონტაჟებულია პანდუსები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და აკადემიის სერვისების სრულ ხელმისაწვდომობას.

დაწესებულებაში მოწყობილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მოსასვენებელი ოთახი, სველი წერტილი, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი სტანდარტებითა და აღჭურვილობით.

დაწესებულება მდებარეობს უსინათლოებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონში, ამიტომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ კატეგორიის შშმ პირებს, მათთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. საქართველოს უსინათლოთა კავშირთან პარტნიორობისა და გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აკადემიას გადმოეცა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამ კატეგორიის საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის სასწავლო მასალების, ლიტერატურის აუდიოჩანაწერების მომზადება და ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

აკადემიას ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი ჟესტური ენის თარჯიმანი და ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის პროგრამის მასწავლებლები

აკადემიას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) ერთი პროფესიული სტუდენტი, ოფისის მენეჯერის პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე. მისი ჩარიცხვისას აკადემიის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში დარგის სპეციალისტებთან ერთად შედიოდა აკადემიის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმოამდგებლების, აკადემიის მედდა, შშმ პირის მშობელი. კომისიამ განიხილა სტუდენტის მდგომარეობა, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და მათი მიღწევის გზები და მიიღო გადაწყვეტილება ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის სპეციალური პროგრამის ფლობის დონის გაღმავების თაობაზე, რისთვისაც აკადემიამ მომსახურების ხელშეკრულებით აიყავანა მასწავლებელი. სტუდენტი გამოირჩევა განსაკუთრებული გონიერებით, მან უმოკლეს ვადაში აითვისა ზემოაღნიშნული პროგრამა და ელექტრონული ფორმით ახორციელებს სწავლის შედეგების დადასტურებას. რომელსაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

აკვირდება აკადემიის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ადმინისტრირებისთვის გამოიყენება აკადემიის ოფიციალური ელ. ფოსტა. რაც გამორიცხავს სწავლის შედეგების დადასტურების მიკერძოებულობას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მართვის წესით
- ბიზნესის აკადემია-SBA-სა და საქართველოს უსინათლოთა კავშირს შორის გაფორმებული მემორანდუმი და უსინათლო მომხმარებლისათვის ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის სპეციალური პროგრამის გადმოცემის აქტით (04.04.2014)
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) პროფესიული სტუდენტის თაობაზე კომისიის მუშაობის დოკუმენტებით;
- ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის სპეციალური პროგრამის მასწავლებლის პირადი საქმით;

**შეფასება:**

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების** სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

აკადემიის ვებგვერდი უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციის შესრულებას. მასზე განთავსებულია: დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია პერსონალსა და პარტნიორებებზე, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, შიდა მარეგულირებელი აქტები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, და
ა.შ. ვებგვერდზე. განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და აქვს საძიებო სისტემა. დაწესებულებას აქვს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფის სერტიფიკატი.
აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოყოფილია ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება-განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების
პროცესს არეგულირებს აკადემიის „ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესი“. აკადემიის ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. აკადემიის ვებგვერდი ორენოვანია და აქვს ინგლისურენოვანი ვერსიაც.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის ვებ-გვერდით www.sba.edu.ge;
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის „ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესით;
- აკადემიის PR-ის სამუშაო აღწერილობით, ვებგვერდის სისტემატური განახლების უზრუნველყოფის შესახებ:
- აკადდემიის დირექტტორის ბრძანებით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA-ის ვებგვერდის ჰოსტინგით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA-ის ვებგვერდის დომეინით;
- ინტერვიურებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

**2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.**

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი - 2018-2024) და ერთწლიანი (2018-2019) სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურება დარეგულირებულია აკადემიის „მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიით." აკადემიას გაწერილი აქვს სტრატეგიული გეგმის შესრულების გრაფიკი. გეგმები ითვალისწინებენ მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

აკადემიაში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი, ანალიზი და ანგარიშგება. კვარტალურ ანგარიშებს იხილავს აკადემიის მენეჯმენტი, ხოლო წლიურ ანგარიშს - აკადემიის სენატი. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, გაწერილია სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლისა და პერიოდული ანგარიშგების ვადები.

აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია, როგორც მიმდინარე სამოქმედო გეგმები, ასევე გასული წლების ანგარიშები, სამოქმედო გეგმების შესრულების თაობაზე.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის „მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგით";
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA სტრატეგიულ გეგმით 2018-2024 წწ;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA -ის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკით;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პირველი კვარტლის ანგარიშით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მეორე კვარტლის ანგარიშით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**
**3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

აკადემიის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. აკადემია მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის განახლებაზე. პერსონალი აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებში, პროექტებში, სამუშაო ჯგუფებსა და ჩარჩო დოკუმენტების შექმნის/ოპტიმიზაციის პროცესში.

კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის განახლების უზრუნველყოფის მიზნით, აკადემია ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას, სადაც აკადემიის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები იღებენ მონაწილეობას. დაწესებულება, ასევე, ხელს უწყობს პერსონალს მონაწილეობა მიიღოს გარე კონფერენციებსა და ტრენინგებში.

აკადემიის პერსონალი აქტიურადაა ჩართული ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებისა და ოპტიმიზების პროცესებში, რაც ხელს უწყობს აკადემიაში შიდა პროცესების მაღალი ხარისხისთ წარმრთვას.

საგანმაანათლებლო დაწესებულების ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

- პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურებით
- შპს საქართ ბიზნესის აკადემიის კონფერენციის მასალებით;





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აკადემიის პერსონალის მიერ ოპტიმიზებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებით
- აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

აკადემიის საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პირი. სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენს 150-ს, ხოლო თანაფარდობა - 150/25 არის 6. აკადემიის ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პირი. სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენს 100-ს, ხოლო თანაფარდობა - 100/24 არის 4,2.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

- პერსონალის მართვის პოლიტიკითა და პროცედურებით
- შპს ბიზნესის აკადემიის კონფერენციის მასალებით?
- აკადემიის პერსონალის მიერ ოპტიმიზებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებით;
- აკადემიის საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- ვიზუალური დათალიერებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

***თბილისი,18.06.2019***

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა შერჩევის წესი საქართველოს ბიზნეს აკადემი წესდების თავი II პერსონალის არჩევა-დანიშვნის წესი განსაზღვრავს და არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების შერჩევის პირობებსა და პროცედურებს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მასში განსაზღვრულია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა არსებითი პირობა: ხელშეკრულების საგანი, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი შრომითი საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები; სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება, შვებულება, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დავების გადაწყვეტა, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა, ცვლილებები და დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები და შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს ბიზნეს აკადემი წესდებით ( თავი II პერსონალის არჩევის/დანოშვნის წესი);
- პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურებით დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანებით.
- პერსონალის მართვის პოლიტიკითა და პროცედურებით;
- აკადემიის საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- ინტერვიურებით

**შეფასება:**

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

*ა) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.*

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის ეტალური სფეროს ოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელე ბის მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საექთნო საქმე | მეხუთე | ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) - 0913<br><br>ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი ) - 090554 | 180 კრედიტი | 210 | ქართული | თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, №18-22 | | 150 |
| 2 | ფარმაცია | მეხუთე | ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან ) - 0916<br><br>ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი ) - 090352 | 120 კრეიტი | 150 კრედიტი | ქართული | თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, №18-22 | | 100 |

*ბ) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პრიოფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 ვიზიტის დღის წესრიგი

18.06.2019
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი,18.06.2019*